„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...“ ლადო ასათიანი



# ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * მარტი. 2025 * (1)104

# ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე) მიერ 2024 წლის 20 დეკემბრის N27 დადგენილებით დამტკიცებული იქნა ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი. დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს.

### ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის ფაქტი | | | 2025 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | სულ | სულ | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 15 924,9 | 18 762,8 | 7 091 ,5 | 11 671,3 | 20 273,0 | 4262,2 | 16 010,8 |
| შემოსავლები | 15 805,1 | 17 982,9 | 7 091,5 | 10 891,4 | 20 263,0 | 4262,2 | 16 000,8 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 119,8 | 779.9 | 0,0 | 779,9 | 10,0 | 0,0 | 10,0 |
| გადასახდელები | 15 711,5 | 17 884,3 | 6 096,1 | 11 788,3 | 22 884,8 | 5 460,4 | 17 424,4 |
| ხარჯები | 7 299,5 | 8 486,3 | 147,7 | 8 338,6 | 10 698.4 | 0,0 | 10 698.4 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 8 412,0 | 9 398,0 | 5 948,4 | 3 449,6 | 12 186.4 | 5 460,4 | 6 726,1 |
| ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ნაშთის ცვლილება | 213,3 | 878,5 | 995,4 | -116,9 | -2 611,8 | -1 198,2 | -1 413,6 |

### ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

*ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვრა 15 340,8 ათასი ლარის ოდენობით:*

| დასახელება | 2024 წლის ფაქტი | | | 2025 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 9 886,0 | 0,0 | 9 886,0 | 15 340,8 | 0,0 | 15 340,8 |
| საშემოსავლო გადასახადი | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 |
| ქონების გადასახადი | 3 325,7 | 0,0 | 3 325,7 | 3 000,0 | 0,0 | 3 000,0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 3 059,2 | 0.0 | 3 059,2 | 2 963,0 | 0.0 | 2 963,0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 2,9 | 0,0 | 2,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0,0 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 2,9 | 0.0 | 2,9 | 0,0 | 0.0 | 0.0 |
| საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 210,3 | 0,0 | 210,3 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 123,1 | 0.0 | 123,1 | 25,0 | 0.0 | 25,0 |
| იურიდიულ პირებიდან | 87,2 | 0.0 | 87,2 | 5,0 | 0.0 | 5,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 53,4 | 0,0 | 53,4 | 7,0 | 0,0 | 7,0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 3,8 | 0.0 | 3,8 | 2,0 | 0.0 | 2,0 |
| იურიდიულ პირებიდან | 49,5 | 0.0 | 49,5 | 5,0 | 0.0 | 5,0 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 |
| სხვა გადასახადები (დ.ღ.გ) | 6 560,3 | 0.0 | 6 560,3 | 12 340,8 | 0.0 | 12 340,8 |

### ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

*ასპინძის მუნიციპალიტეტის ხარჯები განისაზღვრა 10 698,4 ათ. ლარის ოდენობით*

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | | | 2024 წლის ფაქტი | | | 2025 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 7 299,5 | 129,5 | 7 170,0 | 8 486,3 | 147,7 | 8 338,7 | 10 698,4 | 0,0 | 10 698,4 |
| შრომის ანაზღაურება | 2 093,8 | 0,0 | 2 093,8 | 2 320,9 | 0,0 | 2 320,9 | 3 100,0 | 0,0 | 3 100,0 |
| საქონელი და მომსახურება | 1 336,7 | 129,5 | 1 207,1 | 1 366,8 | 147,7 | 1 219,1 | 1 537,2 | 0,0 | 1 537,2 |
| პროცენტი | 0,1 | 0,0 | 0,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სუბსიდიები | 2 748,7 | 0,0 | 2 748,7 | 3 377,4 | 0,0 | 3 377,4 | 4 232,5 | 0,0 | 4 232,5 |
| გრანტები | 30,0 | 0,0 | 30,0 | 51,6 | 0,0 | 51,6 | 80,0 | 0,0 | 80,0 |
| სოციალური უზრუნველ-ყოფა | 623,4 | 0,0 | 623,4 | 800,0 | 0,0 | 800,0 | 972,0 | 0,0 | 972,0 |
| სხვა ხარჯები | 467,0 | 0,0 | 467,0 | 569,7 | 0,0 | 569,7 | 776,7 | 0,0 | 776,7 |

### ასპინძის მუნისიპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

*ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 12 176,4 ათასი ლარის ოდენობით*

# მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ახლახან გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: *ბ. ბერიძე; ა. ტივაძე;*

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ასპინძის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ;

მომხს: *ბ. ბერიძე; გ. ჯვარიძე;*

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ა(ა)იპ „ასპინძის კეთილმოწყობისათვის“ თხოვების ფორმით სარგებლობაში გადასაცემად, მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: *ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ.ჯვარიძე;*

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე იჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე (ავთანდილ ქამადაძე);

მომხს: *ბ. ბერიძე; გ. ჯვარიძე;*

5. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე იჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე (მიხეილ ქამაშიძე);

მომხს: *ბ. ბერიძე; გ. ჯვარიძე;*

6. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს: *ბ. ბერიძე; გ. ჯვარიძე;*

7. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ.

მომხს: *ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ. ჯვარიძე;*

დეპუტატებმა საკითხები დაამტკიცეს, რის შემდეგაც გაეცნენ ინფორმაციას;

1. მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2024 წელში გაფორმებული №170 - დან №184 ჩათვლით და 2025 წელში გაფორმებული №1-დან №12- ის ჩათვლით ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

მაკა ბერიძე

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | | | 2024 წლის ფაქტი | | | 2025 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 795,8 | 137,8 | 658,0 | 883,9 | 226,7 | 657,2 | 1 486,7 | 0,0 | 1 486,7 |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 6 067,2 | 4 521,4 | 1 545,8 | 7 150,0 | 5 035,0 | 2 115,0 | 8 969,1 | 4 857,5 | 4 111,6 |
| დასუფთავება და გარემოს დაცვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,8 | 0,0 | 0,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| განათლება | 1 066,4 | 561,3 | 505,1 | 141,6 | 0,0 | 141,6 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 482,6 | 115,3 | 367,3 | 1 160,1 | 686,7 | 473,3 | 1 730,2 | 602,4 | 1 127,8 |
| მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 61,7 | 0,0 | 61,7 | 0,4 | 0,4 | 0,0 |
| სულ ჯამი | 8 412,0 | 5 335,8 | 3 076,2 | 9 398,0 | 5 948,4 | 3449,6 | 12 186,4 | 5 460,3 | 6 726,1 |

## საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

*(7 150,3 ათასი ლარი)*

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გენდერულად მგრძნობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდები, მილხიდები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის განვითარებას (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა), გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით საგზაო ნიშნების და მონიშვნების (მ. შ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღუდავი საშუალებები) მოწყობას. ასევე გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას და სხვა.

## წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია

*(207, 1 ათასი ლარი)*

ასპინძის მუნიციპალიტეტში სასმელი წყალი ცენტრალიზებული ქსელებით მიეწოდება მოსახლეობის 85%, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ წყალი მიეწოდება დ. ასპინძის, სოფლებს ოთის, ოშორის და იდუმალის 1582 ოჯახს. მუნიციპალიტეტის 9 სოფელს სასმელი წყალის მიწოდებას ზედამხედველობას და მომსახურეობას უწევს ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი. იგი ემსახურება მასში მცხოვრებ 805 ოჯახს. სასმელი წყლის ქსელი მოწყობილია დაბის მთლიან ტერიტორიაზე. ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება მუნიციაპლიტეტის დასახლებულ ერთეულებში წყალმომარაგების და წყალარინების ქსელების მოწყობა-გაფართოება. ასევე სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა.

## გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

*(721,6 ათასი ლარი)*

ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარეგანათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარეგანათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება.

პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას, ასევე მოძველებული სანათების ახალი სანათებით ჩანაცვლებას. ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და დ. ასპინძის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 80%.

## სარწყავი არხების და სოფლების სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია

*(310, 0 ათასი ლარი)*

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ნატანისაგან გრავიტაციული არხების წმენდითი სამუშაოები, დროებითი სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია, მილხიდების, დიუკერების და მოპირკეთებული წყალსატარების, სადერევაციო არხების წმენდა, სატუმბო სადგურების ძალოვანი აგრეგატების (ტუმბო-ძრავი) მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ელექტროაღრიცხვის და ელ.მოწყობილობების მიმდინარე რემონტი, სადაწნეო ქსელებზე შესადუღებელი სამუშაოების წარმოება, წყალსაცავზე შემავსებელი და სამომხმარებლო გრავიტაციული არხების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, წყალსაცავის ტერიტორიის კეთილმოწყობა და სოფლების სასმელი წყლის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.

## ბინათმშენებლობა

*(400, 0 ათასი ლარი)*

მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება. განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსების და სხვა შენობების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია. ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების მეპატრონეებისათვის სამშენებლო მასალის შეძენა და სხვა ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მრავალსართულიანი კორპუსები, რომელებიც საჭიროებენ საძირკვლის გამაგრებას, ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაციას. პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს დაბაში არსებული კორპუსების კეთილმოწყობა.

## მდინარის ნაპირსამაგრითი სამუშაოები

*(312,5 ათასი ლარი)*

მუნიციპალლიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მდინარეებზე კალაპოტების გამაგრება, ეროზიისაგან მათი დაცვა; ნათესებისა და მოსახლეობის დაცვა ჭარბი წყლებისაგან და სხვა ღონისძიებები.

## საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

*(155,0 ათასი ლარი)*

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი.

პროგრამის მიზანია სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო–სამონტაჟო და აღდგენა–რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-საძიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება.

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები

*(922,7 ათასი ლარი)*

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების მიზნით, მოსახლეობებთან შეხვედრების განხორციელება, მათი მოთხოვნების შესაბამისად განსახორციელებელი პრიორიტეტების შერჩევა და პრიორიტეტების გათვალისწინებით მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციების შესაბამისად სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება.

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

(800, 0 ათასი ლარი)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, დაბაში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; მუნიციპალიტეტში გზებისა და სავალი ნაწილის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და, საჭიროების შემთხვევაში, თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 270 ურნაში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ასევე მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიებიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 3 ნაგავმზიდი. 2025 წლისათვის დაგეგმილია კიდევ 1 ნაგავმზიდი ავტომანქანის დამატება. დღეს არსებული სიტუაციით მუნიციპალიტეტში ყოველდღიურად სუფთავდება 150 400 კვმ ფართობი. პროგრამის ფარგლებში 2025 წლისთვის დაგეგმილია 1100 კვმ-ით მეტი ფართობის დაგვა, სულ ყოველდღიურად მოხდება 151 500 კვ.მ ფართობის დაგვა-დასუფთავება და სხვა ღონისძიებები.

## განათლება

*(1.900 ათასი ლარი)*

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაინერგება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა მყარი საფუძველი ჰქონდეთ აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და მათი ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება.

ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება აღმზრდელ-პედაგოგთა კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელი განათლების განვითარებას. იგი მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამ პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისათვის ნორჩ აღსაზრდელთა მომზადება, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასპინძის მუნისიპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ასევე მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურებას.

## ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება

*( 1900.0 ათასი ლარი)*

თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური გახდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება ყველა ბავშვისათვის; დაკომპლექტდება კვალიფიციური საგანმანათლებლო პერსონალით; . მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამჟამად ფუნქციონირებს 6 საბავშვო ბაღი, მათ შორის 2 დაბა ასპინძაში და თითო-თითო რუსთავში, ტოლოშში, ძველსა და თმოგვში, სადაც რეგისტრირებულია 480 აღსაზრდელი. სოფელ ძველის ახლად აშენებულ ბაღი, გარდა სოფელი ძველის ბავშვებისა, ახლომდებარე 3 სოფლის სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებსაც მიიღებს. ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულია 120 თანამშრომელი, მათ შორის 110 ქალი და 10 მამაკაცი. 2024 წლის სექტემბრის თვიდან ექსპლუატაციასი შევიდა სოფელ თმოგვის ახლადაშენებული საბავშვო ბაღი (გათვლილია 60 აღსაზრდელზე), რომელიც ახლომდებარე 3 სოფლის სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებსაც მიიღებს, რაც კიდევ უფრო გაზრდის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობას და დასაქმებულთა რიცხოვნობას. მუნიციპალიტეტის სოფლების ერთი ნაწილიდან ხორციელდება სკოლამდელი ასაკის ბავშვების უფასო ტრანსპორტირება ასპინძის საბავშვო ბაღებში. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების" პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;

## კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

*(3 137,2 ათასი ლარი)*

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

## სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა

*(743, 1 ათასი ლარი)*

გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში დაგეგმილ სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისას ურთიერთსაპირისპირო სქესი წარმომადგენლების თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა, სპორტული ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება თასებით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით;

სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; საქართველოს სასკოლო ოლიმპიადებსა და ევროპის სპორტულ კვირეულებში აქტიური ჩაბმა, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის პროექტით გათვლილია სპორტული ინვენტარის შეძენა, სპორტული ღონისძიებების სამსაჯო მომსახურეობის ხარჯები, სპორტსმენებისათვის სპორტული ფორმების შეძენა მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებისათვის სპორტული მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ფიზიკურად ძლი-

→

ერი და ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ხელშეწყობის მიზნით, ახალი მინი სპორტული მოედნების მოწყობა, არსებულის რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

## ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება

*(205, 0 ათასი ლარი)*

ქვეპროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, ტრადიციული სპორტის მხარდაჭერა; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში და პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება.

წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული წრეების: ბ/რ ჭიდაობის, ფეხბურთის, რაგბის, ძიუდოს, მძლეოსნობის მხარდაჭერა, მონიტორინგის განხორციელება, მათი საჭიროებების შეფასება. სულ 6-დან 17 წლამდე 188 ბავშვი და მოზარდი დადის სპორტულ წრეებზე, მათ შორის 179 ვაჟი და 9 გოგონა. სასპორტო გაერთიანებაში დასაქმებულია 18 ადამიანი, აქედან 5 ქალი და 13 მამაკაცი. სპორტულ წრეებს 11 მწვრთნელი ემსახურებათ, მათ შორის 1 ქალი.

გაერთიანების ბაზაზე შექმნილია ფეხბურთის, რაგბის, ძიუდოს, მძლეოსნობის, ბ/რ ჭიდაობის, მშვილდოსნობის, კალათბურთის სექციები. აქტიურად არიან ჩართულები სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზებაში; ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლების და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ხელშეწყობაში; სპორტის მასობრიობის და ხელმისაწვდომობის პირობების შექმნაში; შეუფერხებლი და გამართული მუშაობისათვის დროულად გამოიყოფა საჭირო ასიგნებანი, რაც ძირითადად ხმარდება სპორტული ტრადიციების შენარჩუნებას, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის თასების, სიგელების, ჯილდოების, სასპორტო გაერთიანებისათვის სპორტული ინვენტარის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შეძენას; სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ორგანიზებას; მწვრთნელთა ოსტატობის ამაღლების მიზნით ტრენინგ-სემინარებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას; - ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; სპორტსმენთა ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისათვის სამივლინებო ხარჯების უზრუნველყოფას; გაერთიანებაში არსებული სპორტის სახეობების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებას;

## ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი „ტაო“

*(80,0 ათასი ლარი)*

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შექმნილია სამცხე ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი "ტაო", რომლის მიზანია რაგბის, როგორც სპორტის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ბავშვთა და მოზარდთა შორის რაგბის განვითარება და პროფესიული რაგბის დამკვიდრება სამცხე-ჯავახეთის მხარეში.

ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბ „ტაო“-ს მთავარი მიზანია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ბავშვებში, მოზარდებსა და ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და სპორტულ ცხოვრებაში მათი ჩაბმა და დასაქმების ხელშეწყობა, სამცხე-ჯავახეთში რაგბის განვითარება და პოპულარიზაცია.

## ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრი

*(300 ათასი ლარი)*

გაერთიანება–კულტურის ცენტრში ერთიანდება ფოლკლორული თეატრალური და საესტრადო მიმართულებები სახელოვნებო წრები, რომელშიც 80 ბავშვი და მოზარდი დადის, მათ შორის 29 ვაჟი და 51 გოგო, სულ სახელოვნებო წრეებს ემსახურება 4 პედაგოგი, მუნიციპალიტეტში სახელოვნებო წრეები ფუნქციონირებს მხოლოდ დაბა ასპინძაში. წლის განმავლობაში კულტურის ცენტრი ანხორციელებს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად ჩაბმას, ფოლკლორულ, საესტრადო, თეატრალურ სახალხო სხვა ღონისძიებების ჩატარებას, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ხელშეწყობას და მათ დასვენებას. ზემო აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვასა და მოვლა-პატრონობას, ასევე არსებული სამუზეუმო ექსპონატების მოვლა-პატრონობას.

## ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა

*(120, 0 ათასი ლარი)*

*ქვეპროგრამის მიზანი:* ყველა ასაკის მკითხველის საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურება. ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნილების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისთვის სათანადო პირობების შექმნა და ინტერესების სრულად და ხარისხიანად დაკმაყოფილება. საბიბლიოთეკო ფონდებისა და სხვა რესურსების სრულად და ეფექტურად გამოყენება. მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში შემავალ სოფლებში მკითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურების კოორდინაცია, ქართული კულტურის განვითარებისათვის გარემოს შექმნა, ეროვნული ფასეულობების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრება და მისი როლის განმტკიცება, საზოგადოების კულტურული და სოციალური თვითშეგნების ესთეტიკური განვითარების სრული ხელშეწყობა. საზოგადოების და ხელოვნების სფეროში მოღვაწეთა ურთიერთდამოკიდებულების სტიმულირება, ხელოვნების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების გაღვივება. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ბიბლიოთეკით სარგებლობის ხელმისაწვდომობა ყველა ასაკის დაინტერესებულ პირთათვის;

ქვეპროგრამის საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზება, საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა საცნობარო- ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა ქართული კულტურის მემკვიდრეობის და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით;

მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნილების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისთვის სათანადო პირობების შექმნა და ინტერესების სრულად და ხარისხიანად დაკმაყოფილება. საბიბლიოთეკო ფონდებისა და სხვა რესურსების სრულად და ეფექტურად გამოყენება. მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში შემავალ სოფლებში მკითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურების კოორდინაცია; ქართული კულტურის განვითარებისათვის გარემოს შექმნა, ეროვნული ფასეულობების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრება და მისი როლის განმტკიცება, საზოგადოების კულტურული და სოციალური თვითშეგნების ესთეტიკური განვითარების სრული ხელშეწყობა. საზოგადოების და ხელოვნების სფეროში მოღვაწეთა ურთიერთ დამოკიდებულების სტიმულირება, ხელოვნების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების გაღვივება;

საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა ქართული კულტურის მემკვიდრეობის და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით. საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, სპეციალიზირებული სემინარების და ტრენინგების მომზადება-ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა, საბიბლიოთეკო საქმის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, შეხვედრების ორგანიზება; ახალგამოცემული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული საღამოები, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, ასპინძის შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები „ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები;

მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ბიბლიოთეკები საჭიროებენ ახალი წიგნებით არსებული წიგნადი ფონდის განახლებას და სხვ,

## სახელოვნებო სკოლები

*(180,0 ათასი ლარი)*

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება, ა.ა.ი.პ. ვ. მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლა, რომელსაც ფუნქციონირების 63 -წლიანი ისტორია გააჩნია. სკოლა გამოირჩევა მაღალკვალიფიციური, გამოცდილი პედაგოგებითა და წარმატებული მოსწავლეებით.

სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საესტრადო და გიტარის შემსწავლელი კლასები. სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 130 ბავშვი, მათ შორის 30 ვაჟი და 100 გოგონა. დასაქმებულთა რაოდენობა 16 თანამშრომელს (ქალი - 15 და კაცი - 1) შეადგენს. პროგრამის ფარგლებში სკოლა ახორციელებს კულტურის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებას.

სკოლის მიზანია მოსწავლეებს მისცეს დაწყებითი მუსიკალური განათლება, აზიაროს მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს როგორც ქართულ, ასევე მსოფლიო ხელოვნების ნიმუშებს, შეაყვაროს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ასევე, კონკურსების, ფესტივალების და სხვა აქტივობების საშუალებით გამოავლინოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები, ჩამოუყალიბოს ესთეტიკური გემოვნება და აღზარდოს აქტიური და ინტელექტუალური მსმენელი. ასევე პროგრამის მეშვეობით ხორციელდება სკოლაში კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და სხვა ღონისძიებები.

## კულტურის ობიექტების მშენებლობა

*(1 009, 1 ათასი ლარი)*

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად საკლუბო დაწესებულებების რეაბილიტაცია, კერძოდ, სახურავების შეცვლა, ფასადების, შიდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება და ეზოებს კეთილმოწყობა,

## ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება

**(200, 0 ათასი ლარი)**

2025-2028 წლებში პროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების ორგანიზებას, გასართობი და შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; კულტურული, ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსებას; წარმატებული შემოქმედებითი ახალგაზრდებისა და ჯგუფების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას. მოსწავლე-ახალგაზრდებში ცნობიერების დონის ამაღლება წიგნიერების, კულტურული მემკვიდრეობის, გარემოს დაცვის და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის კუთხით კულტურული და შემოქმედებითი აქტივობების ორგანიზებას, ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერას მუნიციპალიტეტის სამომავლო განვითრებისათვის, ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობას, ახალგაზრდების მოტივაციის გაზრდას, საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიური ჩართვასა და წახალისებას, ახალგაზრდებში სასცენო ხელოვნებისა და თეატრისადმი ინტერესის გაღრმავებას.

2025-2028 წლებში პროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების ორგანიზებას; კულტურული, ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსებას; წარმატებული შემოქმედებითი ახალგაზრდებისა და ჯგუფების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტით უზრუნველყოფას; მოსწავლე-ახალგაზრდებში ცნობიერების დონის ამაღლებაა; წიგნიერების, კულტურული მემკვიდრეობის, გარემოს დაცვის და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის კუთხით კულტურული და შემოქმედებითი აქტივობების ორგანიზებას; ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერას მუნიციპალიტეტის სამომავლო განვითრებისათვის; ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობას, ახალგაზრდების მოტივაციის გაზრდას, საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართვასა და წახალისებას, ახალგაზრდებში სასცენო ხელოვნებისა და თეატრის პოპულარიზაციას, ასევე მოიცავს სხვადასხვა კულტურული, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზებასა და სამომავლოდ უფრო მეტი მონდომებით, რათა მეტი რაოდენობით და გაუმჯობესებული ხარისხით იყვნენ წარმოდგენილები ამა თუ იმ კულტურულ თუ შემოქმედებით კონკურსებზე.

ითვალისწინებს ახალაზრდების ინტელექტუალურ-შემეცნებითი უნარების გაზრდას. მოზარდ ახალგაზრდებში პატრიოტული გრძნობებისა და სულისკვეთების ამაღლებას; ბავშვთა ჩართულობას საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, ინტელექტუალური უნარების განვითრებასა და მათი უფლებების დაცვის მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დასაქმებული და რეგისტრირებული დამსახურებული მასწავლებლების წახალისებას და ფინანსური მხარდაჭერას; აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მასწავლებლის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომელიც გაიცემა საანგარიშო წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის სკოლებში დასაქმებულ მხოლოდ ერთ მასწავლებელზე, რომლის კანდიდატურასაც ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვის საფუძველზე წარმოადგენს ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრი. დამსახურებულ მასწავლებელზე ფინანსური დახმარების ოდენობა შეადგენს 1000 (ათასი) ლარს. ასევე ხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტუდენტი დედების, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების, წარმატებული სტუდენტების და ერუდირებული ახალგაზრდების ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტუდენტი დედების, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების, წარმატებული სტუდენტებისა და ერუდირებული ახალგაზრდების ფინანსური დახმარება, პროგრამის მიზანია განათლების სფეროში სტუდენტი დედების, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების, წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობა და მათთვის მოტივაციის ამაღლება. ამ პროგრამით განსაზღვრულია იმ მოსწავლეების წახალისება, რომლებიც ეროვნულ ინტელექტ - ჩემპიონატ „ეტალონში“ გახდება გამარჯვებული (პირველი მეორე და მესამე ადგილი). ახალგაზრდების წახალისებისათვის და ფინანსური მხარდაჭერისათვის გათვალისწინებული ფინანსური დახმარება ხელს შეუწყობს და გაზრდის ინტერესს განათლების მიმართ და გამოავლენს განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლე - ახალგაზრდებს.

## რელიგია

(300,0 ათასი ლარი)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და სხვა ღონისძიებები.

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

*(1.039,9 ათასი ლარი)*

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

## საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა

*(52, 5 ათასი ლარი)*

იგი ითვალისწინებს გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობასა და კონტროლს, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვასა და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფას სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვებასა და წარდგენას დკსჯე ცენტრში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელებას, დაავადებათა ადრეული გამოვლენა-პროფილაქტიკას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას ეპიდსაშიშროებისას, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას; პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლსა და პროფილაქტიკას, სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობასა და

← შერჩევითი კონტროლის განხორციელებას. წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინული მონიტორინგს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და „C“ ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას...

### სოციალური უზრუნველყოფა

(60,0 ათასი ლარი)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობა მოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალურ პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

### სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯები, ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა

*(120, 0 ათასი ლარი)*

პროგრამის მიზნობრივი მიმართულებაა ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით ან კერძო სადაზღვევო პოლისით არასრულად დაფინანსების გარეშე დარჩენილი მოქალაქეების ქირურგიული ოპერაციების ღირებულების დაფინანსება; 500 ლარიდან 2500 ლარამდე 50%; 2 500 ლარიდან 3 500 ლარამდე 40%; 3500 ლარიდან 5000 ლარამდე 35% არაუმეტეს 2000 ლარისა; 5000 ლარის ზევით არაუმეტეს 2500 ლარისა. სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

### მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება

*(ახალდაბადებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა)*

*(50,0 ათასი ლარი)*

პროგრამის მიზნობრივი მიმართულებაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ბავშვთა ოჯახების მატერიალურ და მორალური სტიმულირება. დაფინანსება პირველ ახალშობილზე 300, მეორე ახალშობილზე – 400, მესამე ახალშობილზე – 500, მეოთხე ახალშობილზე 600 ლარი, მეხუთე და ყოველ შემდეგ ახალშობილზე 1 000 ლარი, ტყუპ ახალშობილ ოჯახზე 600-600 ლარი.

### ვეტერანთა და დევნილთ სარიტუალო ხარჯები

*(2,0 ათასი ლარი)*

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები „ვეტერანისა და დევნილის სტატუსის მქონე გარდაცვლილი მოქალაქეების ოჯახების თანადგომა სარიტუალო თანხის დაფარვაში.

### სოციალური დახმარებები

*(700,0 ათასი ლარი)*

იგი პროგრამის ფარგლებში ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლ ომისა და სამხედრო ძალების, შშმ პირთა და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დაღუპულთა ოჯახებისათვის, მკვეთრად გამოხატული მხედველობის შშმ სტატუსის მქონე პირთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ხანდაზმულ (ასი და ასწელზე მეტი) მოქალაქეთა, დედმამით ობოლ არასრულწლოვანთათვის, შშმ სტატუსის მქონე რეინტეგრაციაში მყოფ არასრულწლოვანთა, მინდობით აღზრდაში და მეურვეობაში მყოფი პირებისათვის ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამდიცინო მომსახურების, 18 წლამდე ბავშვთა სამედიცინო მომსახურების, შსმ პირთა სამედიცინო, სააფთიაქო მომსახურების თანადაფინანსებას, დიალეზზე და ჰეპატიტით დაავადებულთა ფინანსური დახმარებას, კორონოგრაფიას, მრტ, კტ, პლევნომია, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და სხვა ღონისძიებებს.

### ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განვითარების ცენტრი

*(55,0 ათასი ლარი)*

პროგრამის ფარგლებში ცენტრი უზრუნველყოფს შშმ პირთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას; ,,ცენტრის“ საქმიანობა ამჟამად გათვლილია ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საშუალო თუ მსუბუქი ხარისხის ინტელექტუალური შეზღუდვის, განვითარების თავისებურებების მქონე მოზარდსა (9 წლიდან 21 წლამდე) და ახალგაზრდაზე. ისინი ადაპტირებულ გარემოში იღებენ მონაწილეობას მეცადინეობებში სამკურნალო პედაგოგიკის მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ინდივიდუალური და ჯგუფური აბილიტაცია-რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ფუნქციონალურ-სოციალური, საყოფაცხოვრებო და სახელობო/პროფესიული უნარების განვითარებას. პროგრამის მიზანია: ასპინძის მუნიციპალიტეტში განახორციელოს შშმ მოზარდთა და ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია და სხვა ღონისძიებები.

### მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯები

*(4 313,3 ათასი ლარი)*

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზრვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი და სხვა. ასევე მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს, რაც შეადგენს 5 828,6 ათას ლარს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდი შეადგენს 100,0 ათასი ლარს და მისი განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

### ასიგნებების დაფინანსება

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდება სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

### კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა გასაცემლების ანაზღაურება

2025 წლის განმავლობაში ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცემა მათთვის შესაბამისი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

### სარეზერვო ფონდი

2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 100,0 ათასი ლარის ოდენობით და სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

*მასალა მოამზადა და მოგვაწოდა მუნიციპალიტეტის საფინასო სამსახურმა*

*P.S. დაინტერესებულ პირს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სრული ვერსიის ნახვა შეუძლია სსიპ საკანონმდებლო „მაცნეს“ ვებ.გვერდზე port.ge-ზე*

## სოფლის მხარდაჭერისათვის

ძალაში შევიდა 2025 წელი. მუნიციპალიტეტის მერიამ წლის პირველი დღეებიდანვე დაიწყო აქტიური შეხვედრები სოფლების მოსახლეობასთან, რათა მათი მოთხოვნებისა და სურვილების გათვალისწინებით განხორციელდეს ის პროგრამული ღონისძიებები,



რასაც „სოფლის მხარადაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სახელმწიფო ახორციელებს მოსახლეობისათვის უკეთესი საცხოვრებელი პირობებისა თუ სოციალ-ეკონომიკური მდგომრეობის გაუმჯობესების მიზნით, რაც ქვეყნის სიძლიერის უპირობო გარანტიაა.

ამასთან, მუნიციპლიტეტის მოსახლეობამ უკეთ იცის თავიანთ სოფელს რა ჭირდება და რა მიმართულებით უნდა წარიმართოს მუშაობა. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივთა მხრიდან ინიციატივების გააქტიურებას და დღენიადაგ უწყობს ხელს სოფლების თანამდროვე სტანდარტების დონეზე განვითარებას, შესაბამისად მოსახლეობის დამაგრებას, რაც დღესდღეობით ყველაზე დიდი პრობლემაა ქვეყნის მასშტაბით.

ამიტომაცაა, რომ უკანასკნელ წლებში ეს პროგრამა აქტიურად ვითარდება და შედეგებიც სახეზეა. დღეს მუნიციპალიტეტში არ დარჩა სოფელი, დასახლებული პუნქტი,რომელსაც ეს სიკეთე არ შეეხო, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია, რამეთუ დრო, განვითარების პროგრესი ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს როგორც ადგილობრივ, ასევე ქვეყნის ხელისუფალთ. თუმცა იშვიათია მოუწესრიგებელი გზები, გარე განათება, სოფლის ცენტრებმაც სახე იცვა-



ლეს, მოსახლეობა აღარაა ღვთის ანაბარად მიტოვებული, მაგრამ რიგი საკითხების მოგვარება ყოველწლიურად კვლავ დგება დღის წესრიგში და, მადლობა ღმერთს, ადგილობრივი და ქვეყნის ბიუჯეტი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსახლეობას შეექმნას სათანადო პირობები ცივილურად ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.

მერიის გააზრებული მუშაობის შედეგად წლეულს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ადრეულად დაიწყო სახელმწიფო ტენდერების გამოცხადება და, ბევრგან, შესაბამისმა კომ-



პანიებმა, მიუხედავად არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, სწრაფი ტემპით უკვე განაახლეს სამშენებლო სამუშაოები.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – 2025“-ის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების ძალისხმევით იანვარ-თებერვალშივე წარმატებით ჩატარდა მათი წარმომადგენლების ინტენსიური შეხვედრები მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის მოსახლეობასთან და სახალხო შეკრებებზე მოსახლეობამ თავად განსაზღვრა საკუთარი სოფლის განვითარების პრიორიტრტები, რაც უპირობო გარანტიაა იმისა, რომ სოფელი კიდევ უფრო განვითარებული და საცხოვრებლად მიმზიდველი გახდება.

მოსახლეობის აქტივობა იმანაც განაპირობა, რომ ყველა შეხვედრას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მერის პირველი მოადგილე დავით პაპაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად ადგილზევე გამოიკვეთა გადასაწყვეტი საკითხების პრიორიტეტები, რასაც ამ ეტაპზე საჭიროებს სოფლის მოსახლეობა.

ჩვენი მხრივ ვიტოვებთ იმედს, რომ პე-



რიოდულად მოგაწვდით შესაბამის ინფორმაციებს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თაობაზე.

პროგრამის ძირითად პრიორიტეტებად მოსახლეობის მიერ კვლავ იქნა მიჩნეული დარჩენილ უბნებზე გარე განათების, შიდა გზების, სასმელი და სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების, სკვერების, სპორტული და საბავშვო გასართობი მოედნების, საყრდენი კედლების, მგზავრთა მოსაცდელების მშენებლობა-რეაბილიტაცის საკითხები და სხვ.

## საჩუქრად – წიგნები

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ დაბის N1 და N2 საბავშვო ბაღებს საჩუქრად გადასცა წიგნები.

აღსაზრდელებს აღნიშნული საჩუქრები მერიის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა ოთარ ცინაძემ და ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ელისო ბექაურმა გადასცეს.

ღონისძიების ფარგლებში უფროსებმა პატარებს წიგნებიდან ამონარიდები წაუკითხეს.

ღონისძიება მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა**

**რედკოლეგია**